

ნაწილი

9
ქართული
ბიბლიოთეკა

გაბრიელის, 53-ე ფელი. ი. 1475). მათი. 1976. ფასი 20 კაპიკი.



ახ. მ. გაბაშვილი

— კალისტრატეს იუბილეს უხდინა!
— ნამდვილად კვლევა, სწავალი..



ვლადი-
მ კოვსკიმ ინა-
ვითა ბი еще одно
заседание отнительно
искоренения всех заседа-
ний!»

საყოველთაოდ ცნობი-
ლია, რომ ვ. ი. ლენინს
ძალიან მოეწონა ეს ლექსი
და აღნიშნა კიდევ: „გუშინ
„იზვესტიაში“ შემთხვევით
წავიკითხე მაიაკოვსკის ლე-
ქსი პოლიტიკურ თემაზე. მე
არ ვეკუთვნი მისი პოეტუ-
რი ნიჭის თაყვანისმცემ-
ლებს, თუმცა სავსებით ვა-
ღიარებ ჩემს არაკომპეტენ-
ტურობას ამ სფეროში (რა
კარგი იქნებოდა,
ზოგიერთი პარტიუ-
ლი ხელმძღვანელი
ხშირად იხსენებდეს
ამ სტრიქონებს —

ბ. ბ.), მაგრამ დიდი ხანია არ
განმიცდია ასეთი სიამოვნე-
ბა, პოლიტიკური და ად-
მინისტრაციული თვალსაზ-
რისით. თავის ლექსში ის
საშინლად დასცინის სხლო-
მებს და საცინლად იგდებს
კომუნისტებს, რომ ისინი
სხლომებს არიან ვადაყო-
ლიანი. პოეზიის მხრივ არ
ვიცი, ხოლო რაც შეეხება
პოლიტიკას, დაბეჭდვით
ვამბობ, რომ ეს სავსებით
სწორია. ჩვენ მართლაც იმ
ადამიანთა მდგომარეობა-
ში ვიმყოფებით (უნდა ით-
ქვას, რომ ეს მდგომარეობა
ძალზე სულელურია), რომ-
ლებიც ნადავ სხლომებზე
არიან, ადგენენ კომისიებს,
ადგენენ გეგმებს — დაუს-
რულებლივ“.

(იხ. ვ. ი.
ლენინი, თხზულებ-
ანი, ტ. 33, გამოცემა
მეოთხე, გვ. 256-257).

კაციშვილმა არ იცის, რა-
ტომ დავივიწყეთ ეს სერი-
ოზული გაფრთხილება და
გადავყვეთ სხლომების,
კრებების, თათბირების, შე-
ხვედრების, იუბილეებისა
და ამდაგარი ღონისძიებე-
ბის მოწყობას.

ამას წინათ ერთ დიდად
მნიშვნელოვან დაწესებუ-
ლებაში ხელოვნებისა და
ლიტერატურის მოღვაწეებ-
თან შეხვედრას ვესწრებო-
დი. შეხვედრა ძალიან გაჭი-
ანურდა და დამსწრე საზო-
გადოება დაიღალა. დარბა-
ზი ხმაურობდა, გუგუნებდა
და ორატორებს უკვე აღა-
რავინ უსმენდა. მიუხედავად
ამისა, ისინი ჭიუტად განაგ-
რდობდნენ ლაპარაკს. საუბე-
ღუროდ, ვერც ერთი მათ-
განი ვერ მიხვდა, ან შეემო-
კლებინა სათქმელი, ან, სა-
ერთოდ, უარი ეთქვა გამოს-
ვლაზე! არა და არა: ყველა
ორატორი, პირველი სტრი-

ქონიდან უკანასკნელამდე,
მეუპოვრად კითხულობდა,
რაც ჰქონდა დაწერილი. ეს
იყო მეტად დამაფიქრებელი
სანახაობა. თურმე, ისე დაგ-
ვიკარგავს თვითკონტროლი,
რომ იმასაც ვეღარ ვიგებთ,
გვისმენენ თუ არა!

თუ ჩვენი სიტყვა მსმენელის
არავითარ ინტერესს არ იწ-
ვევს, მაშინ რატომღა ვკარ-
გავთ ძვირფას დროს და ვა-
კარგვინებთ სხვასაც?! ასეთი
შეხვედრები არც დასვენე-
ბაა, არც გართობა, არც
საქმიანობა! ეს არის მხო-
ლოდ დროს მოკვლა! იმაზე
დიდხ დანაშაული კი არ არ-
სებობს, ვიდრე დროს მოკე-
ლაა, რამეთუ სიცოცხლე
სხვა არაფერია. თუ არა
გონივრულად დახარჯული
დრო!

მოურიდებლად დავასა-
ხელებდი იმ დაწესებულე-
ბას, სადაც ეს მოხდა, ასე-
თი შემთხვევა იშვიათი გა-
მონაკლისი რომ იყოს. მაგ-
რამ, სამწუხაროდ, ასეთი
შეხვედრები, საღამოები თუ
სხლომები გამონაკლისი კი
არა, გაბატონებული ჩვეუ-
ლებაა. ეს ყველამ იცის და
მანც ასე ვიქცევით. მაშა-
სადამე, დადგა დრო, რომ
თავად მოვლენა დავგმოთ და
არა ესა თუ ის კონკრეტუ-
ლი შემთხვევა!

შარშან დავთვალე და აღ-
მოვაჩინე, რომ თვეში სულ
ცოტა 18-20 ცალ მოსაწვევა
ვიღებდი. პატიოსანმა კაცმა
რომ იფიქროს, მიმიპატი-

ქეს, უხერხულია არ წავი-
დო და ყველა მოწვევაზე
წავიდეს, იძულებული გახ-
დება, მთელი სიცოცხლე
სხლომებსა და თათბირებზე
გაატაროს! სხვათა შორის,
ვინც მოსაწვევი ბარათების
შინაარსს დაკვირვებია, არ
შეიძლება არ შეემჩნია, რომ
მიპატიებდა, ძირითადად,
ფორმალურ ხასიათს ატა-
რებს. გიწვევენ არა იმი-
ტომ, რომ შენით, როგორც
პიროვნებით, არიან დაინტე-
რესებულნი, არამედ იმი-
ტომ, რომ მიწვევა ნომენ-
კლატურით გეკუთვნის! იმ
საკითხების, რომლებზეც
ლაპარაკი იქნება, შეიძლება
ინიბინი არ გეყურებოდეს.
მაგრამ მაინც უნდა დაესწ-
რო, რაკი მისაპატიებელ
პერსონათა რიგს ეკუთვნი
თანამდებობისდა მიხედვით!
ამ ფორმალიზმს კიდევ გაუ-
ძლებდა კაცი, ეს შეხვედ-
რები, სხლომები, თათბირე-
ბი ერთმანეთისაგან რომ
განსხვავდებოდეს ფორმითა
და შინაარსით! ისინი ტყუ-
ბის ცალბევივით გვანან ერთ-
მანეთს! უმრავლეს შემთხ-
ვევაში ხომ ეს ღონისძიე-
ბანი თვალში ნაცრის შესა-
ყრელად ტარდება — აქაო-
და, ვმუშაობთ, საზოგადო-
ებრივ საქმიანობას ვეწვე-
თო!

როცა მავნე ჩვეულებების
წინააღმდეგ ვლაპარაკობთ,
არ უნდა დავივიწყოთ, რომ
ესეც მავნე ჩვეულებაა და
ესეც უარსაყოფი და უპუ-
საგლებია!

ამ რიგის წარმომადგენელ-
თვნი მომუშავენი ვართ
შირებული იუბილეებიც.
ვის ან რის იუბილეს არ
ვიხდით: ადამიანების (ცოც-
ხლებისა თუ გარდაცვ-
ლილების), დაწესებულე-
ბების (საქმიანისა თუ უსა-
ქმურის), ჟურნალების (სა-
ინტერესოსი თუ უინტერე-
სოსი), გაზეთების (მნიშვნე-
ლოვანისა თუ უმნიშვნელო-
სი) და ა. შ. ოღონდ დროს
გარკვეული მონაკვეთი შეს-
რუტდეს და სხვა არაფე-
რია საჭირო—იუბილე მზად
არის! მერე ამ იუბილეზე
გამოვლენ და, თუ ამქვეყ-
ნადა რაიმე საქებარი სიტ-
ყვაა, იუბილას არ დააკლ-
დება. მე შენ გეტყვი და,
ორატორებს ვერ იმოვიან!
ლამის ერთმანეთი დახოცონ,
იუბილეზე სიტყვა, გინდა
თუ არა, მეც უნდა ვთქვაო!
მოგესხენებათ, უარს ვერა-
ვის ვერაფერზე ვეუბნებით
და ყოველ იუბილეზე აქეთ
დაქანცული პრეზიდენტები
და იქით დაღლილი საზო-
გადოება უსმენს ორატორე-
ბის უსასრულო რიგს!...

როდემდის?

გასული საუკუნის ბო-
ლოს, 1897 წელს, ილია
ჭავჭავაძეს 60 წელი
ურსულდებოდა. დასვა სა-
კითხი, იუბილე მოეუწყო-
თო. გადაათვალიერეთ იმ-
დროინდელი პრესა და ნა-
ხავთ, რა აქტიური მსჯელო-
ბის საგანი გამხდარა ეს სა-
კითხი! მოაუქრეთა უმრავ-
ლესობა ამტკიცებს, ილიას
ჯერ იუბილე არ დაუშნახუ-
რებიაო. როგორც ჩანს, მა-
შინდელმა საზოგადოებამ
ეს აზრი გაიზიარა და ილიას
იუბილე არ გადაუხადეს.
დღეს ეს ჩვენ მეტისმეტად
მკაცრად მიგვაჩნია, მაგრამ
თუ ღრმად დავფიქრებთ,
დავინახავთ, რა დიდსა და
სერიოზულ მნიშვნელობას
ანიჭებდნენ ერას ცხოვრება-
ში ამა თუ იმ პირის იუბი-
ლეს, რა საზოგადოებრივი
მნიშვნელობა ჰქონდა მას!..

ამ გაკვეთილის დავიწყება
არ შეიძლება!

ამ წერილის დასაწყისში
ვ. მაიაკოვსკის ლექ-
სი გავიხსენე. მისი დაწერი-
დან დიდმა დრომ განვლო.
ბევრი რამ მოხდა. ბევრი
რამ შეიცვალა. გამოციდი-
ლებაც მეტი შევიძინეთ.
ამიტომ უფრო გონიერნიც
უნდა ვიყოთ და საქმიანნიც!
ეს კი იმას ნიშნავს, რომ
დადგა ჟამი ვლადიმერ
ილიას ძის ეგზომ მოწო-
ნებულნი აზრი განვახორცი-
ელოთ!

ბაბაი ბაბრაძე

ნ. ბ. ბაბრაძის



— ქალო, ამაღამ მაინც დროზე მოხვალ, თუ ისე
გაბრძანდება თათბირი?!

ქალებს დაუთავთ აღვილი!

პაპანაქება სიცხეა,
 ელვარებს ფილაქანები,
 ხელში თოხით და ბარებით
 ჩამდგარან მწკრივად ქალები.
 გაზონებს თელავს რაინდის
 სპილოსოდენა ტერფები,
 თან ყვირის: — „აბა, ქალებო,
 ტემბები, მეტი ტემბები!“
 თან ინიავებს მარაოს,
 გამობრანჭული თეთრებში,
 ქალებში ისე ტრიალებს,
 როგორც ყვერული დედლებში:
 „მარდათ, მართა და მათიკო,
 მარო, დარო და დაფინე,
 მანქანა გადმოტვირთეთ და
 ნერგები მოლზე დაფინეთ.
 როცა ორმოებს ამოთხრით,
 ეს ნიადაგი დაბარეთ,
 ეს ოდრონოდრო ბილიკიც
 ნაყარი მიწით დაფარეთ.
 მზია ამ ყუთებს გადადგამს,
 ია იმ მორებს დახერხავს,
 ლალი აგურებს დანაყავს,
 დალი კი ფილებს დახეხავს.
 კატო ამ ღელეს გაკვალავს,
 ნატო რიყის ქვას მოზიდავს,
 ცუცა ურიკებს აგორებს,
 ნუცა აყალოს მოზიდავს.
 ბუცა, ეს დანა წაიღე,
 მიურბენინე მაგდანას,
 თან სიტყვიერად უთხარი,
 ქვაზე თუ ხმარობს მაგ დანას.
 ზარმაცები ხართ, არა გაქვთ
 ცოდნა და გამოცდილება,
 მე თქვენ რა უნდა მასწავლოთ
 ნაცარში გამოზრდილებმა?!

თქვენ ისე უნდა შრომობდეთ,
 რომ ღვრიდეთ ოფლსაც ღვარადა...“
 ყვირის და ჩრდილში დამჭდარი
 დიღინებს: „ოსა-ვარადას“.
 თქვენ დიდი ვინმე გგონიათ?
 უბრალო აღმრიცხველია,
 სხვა დაირცხვენდა მის ადგილს,
 ის დგას და არც კი სცხენია,
 იმ ზვინისტოლა აღმრიცხველს
 მივვარდი გულამღვრეული:
 „ჩქარა თონს ხელი მოჰკიდე,
 ქალებს მიეცი რვეული,
 თორემ, იცოდე, შვილოსან,
 მე არ დამიშლის ქეუა-თქო,
 რომ ავიღო და გოგარაში
 დაგთხოვო თოხის ყუა-თქო!“
 ეს რომ ვთქვი, ფიცხლავ წამოხტა,
 ქალებს რვეული გადასცა,
 ისე მიტყერდა თვალეში,
 როგორც რომ თავი კატას.
 იქნევდა ნიჩაბს ჩქარ-ჩქარა,
 ოფლი სდიოდა ღვარადა,
 ისხდნენ ქალები ჩრდილში და
 მღეროდნენ: „ოსა-ვარადას“.



— ჩქარა, ფული! ჩაის სერვიზი იყიდება ოცდამოთხ
 კაცზე!
 — ისეთი ქართული შვპარსხვინე, ოცდამოთხ კაცს ჩაიშ
 რომ დაკაბიშვებს!



(პიესა — პერპეტუუმ მობილე)

— უღრმეს მადლობას მოვიხდით მოს-
 მენისათვის!.. თქვენმა მეუღლემ დარე-
 კა, ქათმისგან რა გავაკეთოთ?

დირექტორი: თქვენ თუ დამეთანხ
 მებით, ჩიხირთმა სჯობს! არაა? თუ კი-
 დევ დარეკოს, უპასუხე, ჩიხირთმა-
 თქო!

შემდეგ სხვა თანამშრომელი შემო-
 ვიდა კაბინეტში:

— ილია ბატონო, თქვენმა შვილმა
 დარეკა, ამოცანის პასუხით!..

დირექტორი: რა იქნა ის. თავგასი-
 ბული ინჟინერი, რით ვერ ამოხსნა
 მეოთხე კლასის ამოცანა. გამაგებინეთ,
 რისი მთავარი ინჟინერია?! ჩქარა, ამო-
 ცანა უპატაკეთ, თორემ ოჯახში არ
 მიმესვლება!

... შეიძლება?

დირექტორი: მოდი, მოდი!
 — ...თქვენმა ქალიშვილმა დარეკა,
 ყავაზე რომ მკითხაობს, ის ბულალტე-
 რი გამომიგზავნეთ!

დირექტორი: გაუგზავნეთ! თან სამ-
 კითხაო სიტყვა გაამეორებინეთ! გულ-
 გასახეთქი არაფერი უთხრას, შვილი არ
 დამიჩაგროს! მაგას ხომ მიუთითეთ, ვის
 როგორ უნდა უმკითხაოს?!

— ასი პროცენტით... შესრულდება!

... პატივცემულო ბატონო უფროსო!
 რომ არ გითხრათ, გული არ მისვენებს,
 თქვენმა სიძემ პარიზიდან დარეკა, ეი-
 ფელის კომპში რომ რესტორანია, იქ
 ვიქეიფო, თუ...

დირექტორი: შენ რას იტყვი? ხომ
 იცი, მიყვარს თანამშრომლების რჩევა!
 — იცით რა, კი, კი...

დირექტორი: ააა, მივხვდი! დაურე-

კეთ, რომ თანახმა ვარ, შევიდეს ეიფე-
 ლში! საქართველოს სადღეგრძელო არ
 გამორჩეს!

უფროსის მოსაცდელში კი კენჭს
 ყრიდნენ — არა მე უნდა მოვასხენო
 მისი სიდედრის აგარაკზე დასვენების
 გახანგრძლივება, არა მეო! ხმაურმა
 შეაღწია კაბინეტში. დირექტორმა მდი-
 ვანს მიზეზი ჰკითხა, მერე მოდავენი კა-
 ბინეტში მიიხმო და მამაშვილურად და-
 არიგა:

დირექტორი: ასე არ ვარგა, რაკი
 ორივემ ერთდროულად მოისმინეთ ჩე-
 მი სიდედრის ხმა, იურიდიულად ორი-
 ვეს უფლება გეძლევათ მიჩიოთ გა-
 ვუხანგრძლივო ჩემს სიდედრს დასვენ-
 ნება თუ არა?!

— ჩვენ...

— ჩვენ...

დირექტორი: გამოდის, რომ თქვენ
 თანახმა ხართ პლატონოვას დასვენე-
 ბის გახანგრძლივებაზე. ჩემი თხოვნაა,
 ორივემ ერთდროულად დაურეკოთ!..
 დავა და ჩხუბი სამსახურში არ შეიძ-
 ლება, თანამშრომელი თანამშრომლის
 ძმა და მეგობარია!

... პატივცემულო დირექტორო, ახ-
 ლა მაგის დრო კი არ არის, მაგრამ
 თქვენმა მეუღლემ კიდევ დარეკა, სა-
 ჭუშაოს დამთავრების დრო არ გამოე-
 პაროსო. თუ მე დამიჯერებთ, მეც მაგ
 აზრისა ვარ.

დირექტორი: როგორ არ დაგიჯე-
 რებთ, სამუშაო სამუშაოა, დასვენება
 კი, ამდენი ჯაფა-გარჯის შემდეგ, აუ-
 ცილებლად საჭიროა!



ჩემმა ცოლმა სულ ბოლო წუთს გადაწყვიტა, თუ სად უნდა გაგვეტარებინა ზაფხული.

— ევროპის გარშემო მოგზაურობა! — ისეთი ხმით განაცხადა მან, რომ, მე კი არა, ალბათ, მაგელანსაც გაუკვირდებოდა.

— გულიკო, ნუ მღუპავ, ქალო, ახალ ზელანდიაში წავიდეთ...

— ევროპის გარშემო!

— გულიკო, იქნებ ავსტრალიაში..

— გარშემო!


სიტყვა ნაყინის კოვზით შემაცვივდა პირზე, დავტრიალდი და ჩემს მეგობარს ვეცი, ტურისტულ ბიუროში რომ მუშაობს.

— დაგვიანებულა, ძმაო, — თქვა მან, — რაღა ევროპის გარშემო მოგინდათ... წადით სხვა ქვეყანაში!

— ევროპის გარშემო! — ისეთი ტონით ვთქვი მე, რომ ჩვენი ძმაკაცობა ბეწვზე დავკიდე.

— ევროპა, — აბუსღუნდა იგი, — აბა, უეგროპოდ როგორ გაძლებთ, ანკეტები შეავსე?

— ჩემი კი, გულიკოსია შესავსები...



— რატომ არ შეავსებინე? ისედაც იგვიანებთ. კარგი, აქვე შევაჭოთ.

— გმადლობო, გოგი... — გული ამიჩუყდა მე.

— მაშ, ასე: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი, წელი... სანამ აბლაუდდებოდე, მითხარი, რა ფერის თმები აქვს გულიკოს?

— რა ვიცი. ხან ყვითელი, ხან წითელი. ხან...

— მე აქ წითელს ჩავწერ და გააფრთხილე, მოგზაურობის დროს წითლად შეიღებოს!

— გააფრთხილებ, ბატონო.

— თვალები?

— რა თვალები?

— რა ფერის აქვს? მე ზუსტად აღარ მახსოვს...

— პოო, როცა კარგ ხასიათზეა, — თაფლისფერი, როცა გაბრაზებული, — შავი.

— ჩავწეროთ თაფლისფერი! მაშინ კარგ ხასიათზე იქნება... სიმაღლე?

— სიმაღლე... სიმაღლე... თუ პლატფორმები აცვია...

— გამაგიჟებს ეს ადამიანი! კაცო, შენი ცოლის სიმაღლე აღარ იცი?! გულამდე გწვდება, ყელამდე, თუ...

— ხანდახან ყელს ზევით არის, გოგი, ყელს ზევით!

დანიშნულ დღეს, სხვა ტურისტებთან ერთად, ზუსტად გამოცხადდით ოდესის სარეგისტრაციო პუნქტში. ჩვენმა რიგმა რომ მოაწია, მორიგე თანამშრომელმა პასპორტები მოგვთხოვა და გადაშალა, ჯერ სურათებს შეხედა, მერე ჩვენ შეგვათვალიერა.

— ეს ქალი ვინ არის?

— ჩემი ცოლია.

— თმები რატომ არა აქვს წითელი! — ციცი ხმით იკითხა მან და ეჭვის თვალით შეხედა.

მა მან და ეჭვის თვალით შეხედა გულიკოს უკანასკნელ მოდაზე (მონაცრისფრო-მოდურჯოდ) შეღებულ თმებს ყოვლისშემძლე კოსტიუმს, ის კი არა, კინაღამ მეც შემეყვანა შეცდომაში. ეს ქალი ნამდვილად არ ჰგავდა პასპორტის სურათზე აღბეჭდილ ჩემს გულიკოს.

— თქვენზე მაღალია... აქ რაღაც გაურკვეველობაა... თვალები? მოიხსენით შავი სათვალე, თუ შეიძლება!

ჩვენ ერთად შევხედეთ გულიკოს. მან მოიგლიჯა შავი სათვალე. სიბრაზისაგან ჩაშავებული თვალები ნაპერწკლებს აფრქვევდნენ.

რეგისტრაციის თანამშრომელმა ერთხანს გვიყურა, შემდეგ წელში გასწორდა და მტკიცე ხმით განაცხადა:

— აქ კი თაფლისფერი გიწერიან! აბა, ამ ოთახში შემობრძანდით!

მეორე დღეს კი ევროპის გარშემო მოგზაურობა ოდესა-სოხუმი-ბათუმის ტურნეთი შეიცვალა.

მურზაყან ცოლიანი



შეგვიწყვიტეს სასმელი წყალი, წყლის ფულს კი გვახდევინებენ. როგორ მოვიქცეთ, რა წყალში ჩავვარდეთ?

— ასე თუ გაგრძელდა მომავალი წლის 1 აპრილამდე; მაშინ მართლა სერიოზულად მოუტყუებხართ. წყლის ფულს ნულარ გადაიხდით, მაგ თანხით ბორჯომი და ლიმონათი შეიძინეთ!

* * *

— ხმელთაშუაზღვის რაიონის სოფ. ჭარნალში ელექტროგანათების ქსელი დიდი ხანია გაყვანილია, მაგრამ რად გინდა ქსელი ელექტროენერგიის კარგეზე! როგორც ვიცით, განათება ღამითაა საჭირო. აქ კი პირიქითაა: დილის 9 საათიდან ელექტროენერგია ჩართულია, როგორც კი დაღამდება, გამოირთვება. ალბათ, დაგუბრუნდებით ნახშირის უთოს, სანთელს, პატეფონს, გრამოფონს, მაგრამ ჩამქრალ ტელევიზორს რომ ვუყურებთ, გული გვწყდება, ასეთ სიკეთესა და სიამოვნებას მოკლებულნი რატომ ვართ?

— ეგ შეკითხვა თქვენი რაიონის ელექტროენერგიის ჩამრთველ-გამომრთველებს დაუსვით, პასუხს კი ჩვენ გაცნობებთ!

* * *

— ქუთაისში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშა-მოსამსახურეები, რომლებსაც საკუთარი ავტომობილი არა აქვთ და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობენ. ამის მაგალითად ჩვენ, ავტოქარხნის ქუჩაზე მცხოვრებნი, გამოვდგებით. ყოველ დღით, სამსახურში წასვლისას, №6 და №10 ავტობუსებს ველოდებით. დიდი

ხნის ლოდინის შემდეგ ვიღაცა დაიძახებს, არიქა, ავტობუსი მოდისო! გაჩერებაზე მდგომნი ავღელდებით, ფერა დავკარგავთ, ავკანკალდებით, მოვეშვადებით, სპორტული ჭინი შეგვიბჟყრობს, ხუმრობა ხომ არაა ხუთი ავტობუსის მგზავრი ერთ ავტობუსში მოთავსდეს! იწყება ხელოვნური ბრძოლა რა თქმა უნდა, აკრძალული ილეთები არ იხმარება. იწარჯვენ უძლიერესნი და გამარჯვებულთა ავტობუსი მიდის. დიღებდანერგება წყვეტილი, საყვლომოსხეული, მტვერსა თუ ტალახში ამოსვრილი, დარჩენილი, ფეხით გავუყვებით გზას, თან გუნებაში ვფიქრობთ: „ავტობუსით კი მიემგზავრებით, მაგრამ არც თქვენ გადავით კარგი დღე“!

* * *

— კლიბენის რაიონის სოფელ ვარხანში კინოდარბაზი არა გვაქვს. სოფლის ეკლესიის პირველ საართულზე მოთავსებულია საბჭოთა მეურნეობის საწყობი, სადაც ინახება ხორბალი, ხოლო მეორე საართული დათმობილი აქვს კულტურის სახლს. თუ გული გულობს, აქაც შეიძლება კინოს გაშვება ან წარმოდგენის ჩატარება. მაგრამ არც კინოს გამშვება სადმე და არც წარმოდგენის ჩამტარებელი.

— ეკლესიას კულტურის ძეგლობა უფრო მოუხდებოდა! ახალ კულტურის სახლს კი კინოს გამშვებზე გამოუჩნდება და წარმოდგენის ჩამტარებელიც.

მოისმინა შ. სიხარულიძე

— ცხინვალში ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრების ნამუშევართა გამოფენისათვის გამოყოფილია ფართობი. ამ ფართობს ეწოდება საგამოფენო დარბაზი. დარბაზის ჭერიდან მხოლოდ მაშინ ჩამოდის წყალი, როცა წვიმს. დარბაზსაც ისე ვუწოდებთ, თორემ პატარა ოთახს უფრო ჰგავს.

— მხატვრებს ვურჩევდით, რაც შეიძლება ბევრი ზეთი გაურიონ საღებავს. ნამუშევარი წვიმამ რომ არ დააზიანოს! გამოფენის დამთავალიერებლებს კი ვურჩევთ, ქოლგები და რეზინის მაღალყელიანი ჩექმები შეიძინონ!

* * *

— ვხეობრძობთ გორში, მშვიდობის ქ. №26-ში. 1975 წლის 1 აპრილიდან

7-1976.

fb-350

ამერიკელი თვითმფრინავშენებელი კორპორაცია
ამხილეს მექრთამეობაში.

საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

სურს. 76187



ნ.ბ. ბ. ლომიძის

კორპორაცია და კორუფცია